

ნეგატიურ დისპოზიციურ განწყობებს (წინარწმენებსა), დეპრესიასა და
სიტუაციურ ცვლადებს შორის კავშირის შესახებ

სოფიო კოშაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე კლინიკური ფსიქოლოგიის მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი, კლინიკური ფსიქოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნატა მეფარიშვილი, ილიას სახელმწიფო
უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ფსიქოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2019

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

სოფიო კოშაძე,

22 ივნისი 2019

აბსტრაქტი

რასიზმი ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული წინარწმენაა და გულისხმობს ადამიანის დისკრიმინაციას მისი კანის ფერის ან ეთნიკური წარმომავლობის მიხედვით. თანემედროვე ფსიქოლოგიაში აქტიურად მიმდინარეობს ექსტრემალური წინარწმენების, მათი გამომწვევი/ხელშემშლელი ფაქტორების კვლევა და იმაზე მსჯელობა შეიძლება თუ არა ექსტრემალური წინარწმენები ჩაითვალოს ფსიქიკური აშლილობად, მის სიმპტომად ან კომორბიდულ მგომარეობად. წარმოდგენილი კვლევის მთავარი მიზანია დაადგინოს - I რა ტიპის კავშირი არსებობს რასიზმსა და მის ერთ-ერთ შესაძლო შემასუსტებ/გამაძლიერებელ ფაქტორს - სიტუაციურ განწყობას შორის. II- რა ტიპის კავშირი არსებობს რასიზმსა და დეპრესიას შორის. ექსპერიმენტში მონაწილეობა მიიღო 90-მა პირმა. ისინი სამ 30 კაციან ჯგუფში სქესთა თანაბრი შეფარდებით გადანაწილდნენ. I და II ჯგუფები ექსპერიმენტული იყო, ხოლო III საკონტროლო. I და II ჯგუფებში შესაბამისი სიტუაციური განწყობა იქმნებოდა აფრო-აფხაზების შესახებ სპეციალურად შეთხზული ამბების საშუალებით. III ჯგუფში ცდისპირები ეცნობოდნენ ამბავს სატურნის შესახებ, შესაბამისად არ იქმნებოდა ეთნიკურ ჯგუფთან დაკავშირებული სიტუაციური განწყობა. რასიზმის/მიმდებლობის დონე იზომებოდა ბოგარდუსის სოციალური დისტანციის განახლებული სკალის საშუალებით, ხოლო დეპრესიის დონე ბეკის დეპრესიის საკვლევი კითხვარის საშუალებით. ჯგუფების შედარებისთვის გამოიყენება დისპერსიული ანალიზი, Welch-ისა და Brown-Forsythe-ის, Games-Howell-ის ტესტი. დეპრესიისა და რასიზმს შორის კორელაციის დასადგენად კი პირსონის კორელაციის კოეფიციენტი. მონაცემთა ანალიზი ცხადყოფს, რომ სიტუაციური განწყობა გავლენას ახდენს რასიზმის დონეზე. ნეგატიურ და პოზიტიურ განწყობის ჯგუფებებს შორის სტატისტიკურად სანდო სხვაობა გამოვლინდა, როგორც მიმდებლობის ჯამური ქულებით, ასევე ნაკლებ სენსიტიური წინარწმენებს ჯამური ქულებით შედარებისას.

მაშინ კი როცა ჯგუფები ერთმანეთს დარდებოდა მეტად სენსიტიური წინარწმენების ქულათა ჯამით სხვაობა გამოვლინდა როგორ პოზიტიური და ნეგატიური წინარწმენების

ჯგუფებს შორის, ასევე ნეგატიური და ნეიტრალური წინარწმენების ჯგუფებს შორის. რასიზმისა და დეპრესიის დონეებს შორის არ გამოვლინდა სტატისტიკურად სანდო დადებითი კორელაცია. პირიქით, გამოიკვეთა ტენდენცია, რომლის მიხედვითაც ამ ორ ცვლად შორის შეიძლება არსებობდეს უარყოფითი კორელაცია. ბეკის დეპრესიის საკვლევი კითხვარის ცალკეული დებულებების მიმდებლობის დონესთან შედარებისას სტატისტიკურად სანდო დადებითი კორელაცია გამოვლიდა მხოლოდ იმ დებულებასა და მიმდებლობის დონეს შორის, რომელიც დასჯას შეეხება.

ძირითადი საძიებო სიტყვები: დეპრესია, სიტუაციური განწყობა, რასიზმი, წინარწმენა

მადლობა

მადლობა ჩემი სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორს, ნატა მეფარიშვილს, რომელიც ყველა შესაძლო რესურსით დამეხმარა და მოტივაციას მმატებდა მაშინ, როცა მე ავადმყოფობის გამო განსაკუთრებით მიჭირდა აკადემიური საქმიანობა, ადამიანს, რომელიც კითხვებზე მპასუხობა და ჩემთან ერთად მუშაობდა, სწორედ მაშინ, როცა მე ამის გაკეთება შემეძლო. მადლობა ყველა იმ მეგობარს, რომელიც მონაცემების შეგროვებაში დამეხმარა. მადლობა ექიმებს, რომლებმაც ჩემს გამოჯანმრთელებაზე იზრუნეს. მადლობა ასისტენტ პროფესორ, დოქტორ ანა მაყაშვილს, რომელიც ჩემი ლექტორი იყო და რომლის კვლევაც, მაშინ აღმოავიჩინე, როცა ლიტერატული მიმოხილვა თითქმის დასრულებული მქონდა და ვისი წყალობითაც ჩემი ნაშრომი გაცილებით მრავალფეროვანი ისე გახდა, რომ ამის შესახებ ჯერ არაფერი იცის. მადლობა ყველას ვინც ექსპერიმენტში მონაწილეობა არ დაიზარა. და ბოლოს მადლობა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის კლინიკური ფსიქოლოგიის მაგისტრს, ლევან გოგუაძეს, რომელიც მთელი ამ დროის განმავლობაში ჩემთან ერთად იყო, მამხნევებდა და მეხმარებოდა.